№2134 2013 წლის 20 დეკემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 აპრილის №311 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 აპრილის №311 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულების პირველი პუნქტის პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების საფუძველზე და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №172 დადგენილებით შექმნილი სამთავრობო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს

გამოუყოს არაუმეტეს 227 451 546 (ორას ოცდაშვიდი მილიონ ოთხას ორმოცდათერთმეტი ათას ხუთას ორმოცდაექვსი) ლარი, მათ შორის:“;

ბ) განკარგულების პირველი პუნქტის 1.10 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.10 მცხეთის მუნიციპალიტეტს არაუმეტეს 8 036 435 (რვა მილიონ ოცდათექვსმეტი ათას ოთხას ოცდათხუთმეტი) ლარი დანართი №10-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;“;

გ) განკარგულების №10 დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი